ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7499516

ნომერი: AR11090505

თარიღი : 13.05.2025

გაცემის თარიღი : 02.06.2025

გაცნობის თარიღი : 03.06.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, წყნეთის გზატკეცილი N7ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიგა ალბორაშვილი პ/ნ 24001041064
- კასპი ს. ახალციხე

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კერძო მიწის ნაკვეთზე წყალსარინი არხისა და დრენაჟის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ :

- ინტერაქტიულ რუკაზე ნაცვლად რეგისტრირებული მთლიანი მიწის ნაკვეთისა, განსაზღვრული უნდა იყოს საპროექტო კონკრეტული ნაგებობის შესაბამისი ტრაექტორია/ადგილმდებარეობა (ან წარმოდგენილი იქნეს ახალი განცხადება, რომლის მიხედვითაც თავიდანვე ზუსტად იქნება განსაზღვრული ტრაექტორია);
- მოთხოვნის შინაარსი: განიმარტოს დეტალურად, ფოტოსურათების შესაბამისად ასახული უკვე განხორციელებული სამუშაოების შესახებ (აღნიშნულია მხოლოდ თხრილის შესახებ, თუმცა ფოტოსურათების მიხედვით ასევე ფიქსირდება მილი);
- წარმოსადგენია არსებული შენობის (სადაც მოთხოვნილია საპროექტო მილის მოწყობის სამუშაოები) კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- წარმოსადგენია იმ ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრ(ეებ)ის მიერ გაცემული თანხმობა/შეთანხმებული სქემა, რომელთა საკუთრებაში არსებულ ხაზობრივ ნაგებობებიც საპროექტო ტერიტორიის არეალშია მოქცეული ან/და გათვალისწინებულია დაერთება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ფოტომონტაჟი: აღნიშნულ ველში წარმოსადგენია არქიტექტურული პროექტი - გეგმა, ჭრილები - მილის დიამეტრის, საკადასტრო საზღვრების დატანით;

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.